ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №23

22 ივნისი, 2023 წელი
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე, გიორგი შარაშიძე და ნინო კვიტაიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - გურამ ოქროპირიძე;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ავთანდილ ცინცაძე;
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - გივი ჩხარტიშვილი;
4. სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ირაკლი ეძგვერაძე.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის - განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საფუძველი: წერილი №12-0323170122-03; 19.06.2023).

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი,** რის შემდეგ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი გვილავას.

ირაკლი გვილავას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დადგენილების პროექტით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში და

დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„3. წარმატებულ სტუდენტს დაფინანსება გადაერიცხება, სამსახურში წარდგენილ პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე.“.

ზემოაღნიშნული ცვლილებით გაუქმდება ჩანაწერი, რომლის მიხედვით, წარმატებული სტუდენტის დაფინანსების გადარიცხვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებაში მითითების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე, სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით. აღნიშნული ჩანაწერის გაუქმება წარმატებული სტუდენტებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ემსახურება, კერძოდ, ცვლილებამდე გაცემული დაფინანსება იბეგრებოდა მხოლოდ სტუდენტის პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვისას, ხოლო უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვისას დაფინანსების დაბეგვრა არ ხდებოდა. წარმოდგენილი ცვლილებით, ყველა წარმატებული სტუდენტის დაფინანსება დაიბეგრება და მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

წარმოდგენილ პროექტთან მიმართებით, კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიას წარუდგინა შემდეგი სახის **შენიშვნები:**

1. მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის დანართი 1-ის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: წარმატებული სტუდენტის საბანკო რეკვიზიტები;
2. მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის დანართი 1-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სამსახური განიხილავს წარდგენილი დოკუმენტაციის ამ წესთან შესაბამისობას და შესაბამისობის დადგენის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს მიმართავს წერილით, შესაბამისი წარმატებული სტუდენტისთვის თანხის გადარიცხვის მოთხოვნით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ნინო კვიტაიშვილმა და გურამ ოქროპირიძემ.

გურამ ოქროპირიძემ დააყენა რეკომენდაცია, კერძოდ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის” ნაწილში განხორციელდეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ დამატებით იმ ოდენობის თანხის მიღებას, რომელიც დაბეგვრის საფუძველზე მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა სამსახურს ინფორმაცია კონკრეტულად სად მიემართებოდა სტიპენდიის სახით გაცემული დაფინანსება, რაზეც ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ მსგავს ინფორმაციაზე წვდომა არ აქვთ. ნინო კვიტაიშვილი აგრეთვე დაინტერესდა, ხომ არ იგეგმება ბაკალავრიატის წარმატებული სტუდენტების დაფინანსება, მსგავსად მაგისტრატურის საფეხურის წარმატებული სტუდენტებისა. მისი განცხადებით, მაგისტრანტებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ დასაქმებაზე, ვიდრე ბაკალავრებს, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის სტუდენტების მხარდაჭერაც. ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ არსებობს პროგრამები, ბაკალავრიატის სტუდენტებზე ორიენტირებული გრაფიკით, რომელიც შეთავსებადია სწავლებასთან.

კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი, ასევე დაინტერესდა შემდეგი საკითხით: სოციალურად დაუცველი სტუდენტების გარკვეული ნაწილი დაფინანსებას იღებს მუნიციპალიტეტის მხრიდან, მაშინ როცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც აქვს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებას. ირაკლი გვილავამ აღნიშნულზე განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ისიც განსხვავებული სპეციფიკით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა